ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 2

“20” იანვარი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება - 3-ის მე-2 მიკრორაიონის, კორპუსი №30-ში მდებარე უძრავი ქონების ნაწილის (საკადასტრო კოდი №01.19.39.018.001.01.502) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის - გიორგი მოსიძისთვის (პ/ნ: 01017006891) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება - 3-ის მე-2 მიკრორაიონის კორპუსი №30-ში მდებარე უძრავი ქონების ნაწილის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.018.001.01.502) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის - გიორგი მოსიძისთვის (პ/ნ: 01017006891) გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 28 დეკემბრის №50.38.1084 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ვარკეთილი დასახლება-3, მე-2 მიკრორაიონის, კორპუსი №30-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.39.018.001.01.502) პირველ სართულზე არსებული 195.60 კვ.მ. ფართიდან 96.9 კვ.მ. ფართის სარგებლობის უფლებით, ფიზიკურ პირზე, გიორგი მოსიძეზე, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს უძრავი ქონების საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 780 (სამი ათას შვიდასოთხმოცი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2020 წლის 1 ნოემბრამდე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი